სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

22/01/2025

MES 0 25 0000042967

**სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ**

"უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის" 22-ე მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანების, ,,2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2025 წლის 13 იანვრის MES 2 25 000001.1/1 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, 2024-2025 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის, რომლებმაც სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე (https://students.emis.ge) რეგისტრაციის შედეგად მოიპოვეს სტუ–ში მობილობის წესით ჩარიცხვის უფლება, განცხადება (დანართი 1) და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 2) უნდა

წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2025 წლის 12-14 თებერვლის ჩათვლით. საბუთები მიიღება 10 $^{00}$ სთ-დან - 16 $^{00}$ სთ-მდე; მისამართი: თბილისი; კოსტავას 77; ადმინისტრციული კორპუსი; მე-3 სართული; ოთახი 334;

2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზ.ბუაჩიძეს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ის საქმის წარმოების დეპარტამენტს;
4. დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების ადმინისტრაციას მოტივირებული დასკვნების მომზადება (დანართი 3) და შედეგების მობილობის მსურველთათვის გაცნობა არაუგვიანეს 2025 წლის 17 თებერვლისა;
5. ფაკულტეტის მიერ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტის (დანართი 4) სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში წარდგენის ვადა განისაზღვროს არაუგვიანეს 2025 წლის 18 თებერვლისა;
6. 2024-2025 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ერთიანი ბრძანების პროექტის მომზადება და სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ელექტრონულად ასახვა უზრუნველყოს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა არაუგვიანეს 2025 წლის 19 თებერვლისა;
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს თ.წერეთელს;
8. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
10. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ

ელექტრონული
მფლობელობის
ელექტრონულად